მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) ცნება

საჯარო მიზნების მისაღწევად კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება (პარტია) არის საერთო მსოფლმხედველობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე შექმნილი მოქალაქეთა ნებაყოფლობითი დამოუკიდებელი გაერთიანება, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის ფარგლებში.

დაუშვებელია ისეთი პარტიის შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია

ცვლილებით რეგისტრაცია არის პარტიის შექმნის, მის წესდებაში და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრში რეგისტრაციას დაქვემდებარებული მონაცემების ცვლილებისა და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში მისი საქმიანობის შეწყვეტის შესახებ მონაცემთა აღრიცხვა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრში, ცვლილებით რეგისტრაციის თაობაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებით;

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციაზე უფლებამოსილი ორგანო არის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციის მოთხოვნის წესი და პირობები

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციის მიზნით დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს ან იუსტიციის სახლს.

თუ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საქართველოს კანონმდებლობით ან პარტიის წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ცვლილების რეგისტრაციის საფუძველია პარტიის ყრილობის მიერ სათანადო წესით მიღებული გადაწყვეტილება. ამ მიზნით ჩატარებულ ყრილობას ესწრება და მის ოქმს ამოწმებს ნოტარიუსი. ნოტარიუსის დასწრება არ არის სავალდებულო ყრილობის იმ ნაწილზე, რომელიც უშუალოდ არ უკავშირდება წესდებაში ან/და ამ მუხლის მე-2 პუნქტის

„ე“–„ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მონაცემებში ცვლილების შეტანას, რის შესახებაც უნდა აღინიშნოს ნოტარიუსის მიერ დამოწმებულ ყრილობის ოქმში.

სარეგისტრაციოდ წარსადგენი დოკუმენტები:

1) განცხადება პარტიის ცვლილებით რეგისტრაციის შესახებ, პარტიის ხელმძღვანელი პირის (პირების) ხელმოწერით (ხელმოწერებით);

2) ნოტარიუსის მიერ დამოწმებული პარტიის ყრილობის ოქმი;

3) პარტიის წესდების ცვლილების შემთხვევაში - პარტიის წესდება ცვლილებებით (კონსოლიდირებული რედაქცია);

4) ცვლილების შემთხვევაში - პარტიის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) ხელმოწერის (ხელმოწერების) ნოტარიულად დამოწმებული ნიმუშები;

5) პარტიის იურიდიული მისამართის ცვლილების შემთხვევაში - ცნობა პარტიის იურიდიული მისამართისა და ტელეფონის ნომრის შესახებ;

პარტიის იურიდიული მისამართისა და ტელეფონის ნომრის შესახებ ცნობა გულისხმობს მონაცემებს შესაბამისი იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მესაკუთრისა და ტელეფონის ნომრის მფლობელის სანოტარო წესით დადასტურებული თანხმობის ან ადგილსამყოფლისა და ტელეფონის ნომრის სარგებლობის შესახებ დადგენილი წესით გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების თაობაზე. იურიდიულ მისამართად უნდა მიეთითოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მისამართი, რომელზედაც შესაძლებელი იქნება წერილობითი შეტყობინების (კორესპონდენციის) გაგზავნა.

6) პარტიის ბეჭდის, ემბლემისა და სხვა სიმბოლიკის ცვლილების შემთხვევაში - ესკიზები პარტიის ბეჭდის, ემბლემისა და სხვა სიმბოლიკის გამოსახულებით, თუ ასეთები გამოიყენება.

7) ცვლილების სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია ხორციელდება 1 თვის ვადაში – სარეგისტრაციო მოსაკრებელი 125 ლარი. ვადის ათვლა იწყება განცხადების შეტანის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. თუ ვადის ბოლო დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეებს, ვადის ბოლო დღეს წარმოადგენს მომდევნო სამუშაო დღე.

შენიშვნა:

პარტიის სარეგისტრაციო დოკუმენტაცია წარდგენილ უნდა იქნეს ერთ ეგზემპლარად,

დოკუმენტაციის წარდგენა ხდება **ყრილობის ჩატარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში**.

სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის რეკვიზიტები:

მიმღები: `erovnuli banki~

angariSsworebis angariSi 200122900

erovnuli bankis kodi TRESGE22

saxazino kodi: 300773124

დანიშნულება: „— " პარტიის ცვლილებების სარეგიტრაციო მოსაკრებელი.

თუ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საქართველოს კანონმდებლობით ან პარტიის წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ცვლილების რეგისტრაციის საფუძველია პარტიის ყრილობის მიერ სათანადო წესით მიღებული გადაწყვეტილება. ამ მიზნით ჩატარებულ ყრილობას ესწრება და მის ოქმს ამოწმებს ნოტარიუსი.

დამატებითი ინფორმაცია

თუ დაინტერესებულ პირს სარეგისტრაციო წარმოებაში მონაწილეობის მიღება სურს არა პირადად, არამედ წარმომადგენლის მეშვეობით, ასეთ შემთხვევაში დამატებით უნდა იქნეს წარმოდგენილი სათანადო წესით დამოწმებული წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

ზემოჩამოთვლილი დოკუმენტების გარდა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მხრიდან კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია დამატებით მოთხოვნილ იქნეს ნებისმიერი დოკუმენტი/ინფორმაცია, რაც აუცილებელია განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად.

წესდებაში შეტანილი ცვლილების მიხედვით მიღებული გადაწყვეტილება მოქმედებს მხოლოდ ამ ცვლილების რეგისტრაციის შემდეგ.